თანამოხსენება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი შედგენა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენა დაიწყო 2021 წლის პირველ მარტს (საბიუჯეტო კოდესის შესაბამისად), როდესაც მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება Nა 46.4623.0573. 26.02.2021 წელი), რომელშიც განსაზღვრული იყო პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 02 სექტემბრის ბრძანების N46.46 21 24 510 თანახმად, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები (ქვეპროგრამები), ღონისძიებები და მათი მიზნის აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

საქარტველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს 06.12 2021 წლის (N 04-03/143 446) წერილის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართა შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლები:

- დღგ - 5 500,5 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი - 2 200, 0 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი - 210,0 ათასი ლარი;

დაზუსტდა ბიუჯეტის შემოსავლები.

2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენდა 2 621,0 ათას ლარს, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს N12 დადგენილებითდამტკიცდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მოცულობაც შეადგენდა 12 745,5 ათას ლარს.

შემდგომ ბიუჯეტში ცვლილება შევიდა 4-ჯერ და საბოლოოდ ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 27 320,9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის თავდაპირველი მოცულობა გაიზარდა 14 575,4 ათასი ლარით.

პირველი ცვლილება - ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 4517,3 ათასი ლარით

მ.შ. ნაშთი 531,6 ათასი ლარი.

N 75 განკარგულება (რეგ. ფონდი)-2844,7 ათასი ლარი.

N277 განკარგულება (სოფლის მხარდ.პროგრამა)-268,9 ათასი ლარი.

საბიუჯეტო სახსრები- 142,1 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 17 262,8 ათასი ლარი.

მეორე ცვლილება - ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1487,3 ათასი ლარით.

მ.შ. N71 განკარგულება (მოსწავლეთა ტრანსპორტ)-486,4 ათასი ლარი.

N1419 განკარგულება (საპილოტე)-649,9 ათასი ლარი.

N 131განკარგულება (სტიქია)- 55,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 18750,1ათასი ლარი.

მესამე ცვლილება -ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 6495,8 ათასი ლარით.

მ.შ. N75 განკარგულება (რეგ.ფონდი)- 2639,1 ათასი ლარი.

N1419 განკარგულება (საპილოტე)-1584,0 ათასი ლარი.

N926 განკარგულება (მთის ფონდი)-533,9 ათასი ლარი.

N 51 განკარგულება (საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა)- 147,0ათასი ლარი

N131 განკარგულება (სტიქია)-700,0ათასი ლარი.

საბიუჯეტო სახსრები- 891,8ათასი ლარი.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 25 245,9 ათასი ლარი

მეოთხე ცვლილება - ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 2075,0 ათასი ლარით.

მ.შ. N75 განკარგულება (რეგ.ფონდი)- 107,1 ათასი ლარით.

N 131 განკარგულება (სტიქია)- 1070,1 ათასი ლარით.

საბიუჯეტო სახსრები 898,0 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 27 320,9 ათასი ლარი.

მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები 11 815,9 ათასი ლარი

N75 განკარგულებით (რეგ ფონდი) გამოიყო 5590,8 ათასი ლარი.

N1419 განკარგულებით (საპილოტე) გამოიყო 2233,9 ათასი ლარი.

N277 განკარგულებით (სოფელი) გამოიყო 730,0 ათასი ლარი

N131 განკარგულებით (სტიქია) გამოიყო 1825,0ათასი ლარი.

N 51 განკარგულებით 902,3 ათასი ლარი.

მ.შ. ტრანსპორტირება 755,3 ათასი ლარი

საჯარო სკოლების ინფრასტრ. – 147,0 ათასი ლარი

N906 განკარგულებით გამოიყო-533,9 ათასი ლარი.

მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით - 11 815,9 ათასი ლარი.

საბიუჯეტო სახსრები-2227,9 ათასი ლარი

ნაშთი - 531,6 ათასი ლარი.

სულ: 14 575,4 ათასი ლარი.

14 757,0 +12 745,5(დამტკიცებული ბიუჯეტი) = 27 320,9 ათასი ლარი

შემოსავლები

2022 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 27 008,5 ათასი ლარი, მათ შორის:

1. შემოსავლები-24 213,3 ათასი ლარი.
   2021 წელთან შეადარებით ფაქტიური შემოსულობები გაზრდილია 4 216, 7 ათასი ლარით;
2. არაფინანსური აქტივების კლება 174,3 ათასი ლარი;
3. ფინანსური აქტივების კლება 2 621,0 ათასი ლარი.

შემოსავლებიდან, რომელიც შეადგენს 24 213,3 ათას ლარს, გადასახადები არის 8 501,9 ათასი ლარი, მათ შორის ქონების გადასახადი 2 413,0 ათასი ლარი, დღგ - 6 088,9 ათასი ლარი.

გრანტები- 13 737,1 ათასი ლარი, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებილი გრანტები - 688, 7 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები - 1 974,3 ათასი ლარი.

რაც შეეხება გადასახადებს, ის თავიდან დაგეგმილი იყო 7 900,5 ათასი ლარი, შემდეგ მოხდა მისი კორექტირება და საბოლოოდ ის გახდა 8 270,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 2 048,3 ათასი ლარი, საბოლოოდ, კორექტირების საფუძველზე, გახდა 2 537,2 ათასი ლარი. შემოვიდა 1 974,3 ათასი ლარი, რამდენჯერმე მოხდა ბუნებრივი რესურსების და სხვა არაკლასიფიცირებულ მოსაკრებლებში ცვლილება, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბიუჯრტის შედგენის დროს მათი დაგეგმვა ბიუჯეტში მოხდა არასწორად.

ასევე, ამ მუხლში, მცირეა შემოსვლები დასუფთავების მოსაკრებლიდან. დაგეგმილი იყო 35,0 ათასი ლარი და შემოვიდა 12,4 ათასი ლარი.

რაცშეეხება არაფინანსური აქტივების კლებას, თავიდან ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 433,7 ათასი ლარი, რამოდენიმე კორექტირების შემდეგ საბოლოოდ დარჩა 339,2 ათასი ლარი. რეალურად კი შემოვიდა 174, 3 ათასი ლარი.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაიგეგმა არასწორად, ბიუჯეტი არ ბალანსდებოდა.ა ამიტომ, საბიუჯეტო გადასახდელების დასაფარავად მინიციპალიტეტის ბიუჯეტს გრანტის სახით გამოეყო სპეციალური ტრანსფერი - 1 450,0 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდა ყველა ის ხარჯი, რაც იყო გატვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებით.

საბიუჯეტო ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27 357,3 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 23 746,1 ათასი ლარი (87,92 %),

მათ შორის:

1. ხარჯები - 13 314,2 ათასი ლარი (49,3%);
2. არაფინანსური აქტივების ზრდა - 10 149,0 ათასი ლარი (38,32%);
3. ვალდებულების კლება - 82,9 ათასი ლარი (0,3 %).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 975.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6 937.2 ათასი ლარი. რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 857.1 ათასი ლარი

ხელფასები 857.1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 857.1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 857.1 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 1 949.6 ათასი ლარი

ხელფასები 1 949.6 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 1 949.6 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 1 949.6 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 139.9 ათასი ლარი

ხელფასები 139.9 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 139.9 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 139.9 ათასი ლარი

4. კურორტი ბახმარო: შრომის ანაზღაურება 28.7 ათასი ლარი

5. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

შრომის ანაზღაურება 53.5 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

შრომის ანაზღაურება 426.2 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა-პარტონობა:

შრომის ანაზღაურება 56.5 ათასი ლარი

7. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

შრომის ანაზღაურება 1 386.5 ათასი ლარი

8. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 1 936.5 ათასი ლარი

9. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 102.7 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 4 820.5 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 4 584.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.1 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1 025.6 ათასი ლარი;

- რაც იმაზე მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში და ა(ა)ი.პ-ებში ბევრი შტატგარეშე თანამშრომელია დასაქმებული.მაგ: ა(ა)ი.პ-ში „საფეხბურთო კლუბი ბახმარო" გასულ წელს შრომის ანაზღაურება გაიცა 172,8 ათასი ლარი, ხოლო მუხლით „საქონელი და მომსახურება" დაიხარჯა 220,4 ათასი ლარი,საიდანაც ძირითადად გაცემული იყო შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასები.

- ✓ მივლინებები - 33.2 ათასი ლარი; მ/ შორის ქვეყნის გარეთ 15.7 ათასი ლარი; ქვეყნის შიგნით 17.5 ათასი ლარი.

- ✓ ოფისის ხარჯები - 998.9 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 21.0 ათასი ლარი, მერია 111.4 ათასი ლარი, თავდაცვას 5.2 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 484.7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა 51.1 ათასი ლარი, განათლება 202.3 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 115.1 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა 8.1 ათასი ლარი.

- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 80.5 ათასი ლარი;

კვების ხარჯები 183.4 ათასი ლარი, მათ შორის ა(ა)ი.პ „მომავალი" 169,4 ათასი ლარი, თითოეული ბავშვის კვებაზე დაიხარჯა - 3,5 ლარი დღიურად.

სამედიცინო ხარჯები 2.4 ათასი ლარი

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 46.4 ათასი ლარი.

- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-

  შენახვის ხარჯები - 1 698.5 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 142.2 ათასი ლარი; მერია 237.3 ათასი ლარი, თავდაცვა--10.5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის

მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 7.4 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა 383.7 ათასი ლარი; განათლება 757.5 ათასი ლარი; საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 115.4 ათასი ლარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვა 44.5 ათასი ლარი .

სხვადანარჩენი საქონელი და მომსახურება-- 515.9 ათასი.

,,**პროცენტების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 41.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 41.1 ათასი ლარი შეადგინა.

„**სუბსიდიების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 249.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 225.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.2 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- განათლების ხელშეწყობა - 37,6 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 3.2 ათასი ლარი;
- რელიგია--10,0
- სოციალური პროგრამების თანადაფინანსება - 174.3 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 999.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 849.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.0 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ლტოლვილთა დახმარება - 5.8 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 21.8 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 558.9 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 224.4 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 5.3 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 22.0 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 11.1 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 757.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 676.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 89.2 %ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკრებულოს ხარჯები ---104.3 ათასი ლარი

მერია 21.8 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--2.2 ათასი ლარი

კეთილმოწყობის ღონისძიებები --6.3 ათასი ლარი

- სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 115.1 ათასი ლარი.

  განათლება --1.0 ათასი ლარი.

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 123.4 ათასი ლარი;

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 173.1 ათასი ლარი;

  ლტოლვილთა დახმარება --0.4 ათასი ლარი;

  საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება--0.2 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 3,6 ათასი ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების დახმარება 124.4 ათასი ლარი

გენდერული თანასწორობა 0.5 ათასი ლარი

ვალდებულებების კლების მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 82,9 ათასი ლარია ანუ 99,9 %.

2022 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	4 131.2	4 065.8
7.20	თავდაცვა	174.7	168.4
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	12 992.5	10 121.8
7.50	გარემოს დაცვა	1 298.8	1 272.2
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	542.0	540.4
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	188.6	179.1
7.80	-დასვენება და კულტურა,	3 431.4	3 335.6
7.90	განათლება	3 252.6	2 893.3
7.10	სოციალური დაცვა	1 345.4	1 169.5
	სულ ჯამი	**27 357.2**	**23 746.1**

სარეზერვო ფონდი

2022 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 152.3 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 149.2 ათასი ლარი(97.9 %) აქედან 6.2 ათასი ლარი მიიმართა საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობაზე (წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება); 10.0 ათასი ლარი მიიმართა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად არამალფუჭებადი პროდუქტების, მედიკამენტების და სანიტარულ ჰიგიენური საშუალებების შესაძენად; 5,9 ათასი ლარი მიიმართა კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის; 127,1 ლარით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების დახმარება გაეწია 445 ოჯახს. აღნიშნული ხარჯები მიუთითებს, რომ ძირითაად სარეზერვო ფონდისთვის გამოყოფილი ასიგნებების დახარჯვა არ ხდება საკრებულოს მიერ მიღებული წესით. სარეზერვო ფონდიდან ძირითადად ხდება სოციალური დახმარებების გაცემა.აქედან გამომდინარე, საჭიროა დაიხვეწოს სოციალური დახმარებების გაცემის წესი და ამ კუთხით დახმარებების გაცემა მოხდეს სოციალური დახმარებების მუხლიდან (კოდი 06.00).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებილი პრიორიტეტების ფაქტობრივი მაჩვენებელი

მათ შორის:

- 01.00 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - 4 100,9 ათასი ლარი (15,18 %);
- 02.00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია დაექსპლუატაცია - 10 662,2 ათასი ლარი (39,48%);
- 03.00 დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 272,2 ათასი ლარი (4,71%);
- 04.00 განათლება - 2 893,3 ათასი ლარი(10,72%);
- 05.00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 3 344,6 ათასი ლარი(12,38%);

- 06.00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 472,9 ათასი ლარი (5,45%).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული

პროგრამები:

N	**ორგანიზაციული კოდი**	**პროგრამის დასახელება**	**გეგმა**	**12 თვის შესრულება**
1	01.00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4 170,5	4100,9
2	02.00	ინფრასტრუქტურის მშენელობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.	13 534. 54	10 662,2
3	02.01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	6 232,4	5474,7
4	02.02	გარე განათება	471,4	470,9
5	02.03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	3716,6	2367,3
6	02.04	სოფლის მხარდაჭეის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისც	730,0	703,2
7	02.05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო	189,4	183,5
8	02.06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	2124,3	1393,1

9	02.07	კურორტი ბახმარო	70,4	69,5
10	03.00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1298,8	1272,2
11	04.00	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	3252,6	2893,3
12	05.00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3440,9	3344,6
13	05.01.04	სპორტული ობიექტების დაფინანსება	1278,2	1202,3
14	05.02.01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2108,2	2089,1
15	05.03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	44,5	43,0
16	05.04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0	10,0
17	06.00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1659,9	1472,9

18	06.01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	188,5	179,1
17	06.02	სოციალური პროგრამები	1471,4	1293,8
		სულ	27 357,2	23 746,1

2022 წლის ბიუჯეტის ანგარიშში დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების შეფასებების ინდიკატორები, რც მისასალმებელია, მაგრამ დასახვეწია.

გაუგებარია, ა(ა)ი.პ „ბახმაროს“ ფუნქციონირების საკითხი. მას ბიუჯეტის პრიორიტეტებში მინიჭებული აქვს კოდი 02.07, რაც აბსოლუტურად გაუგებარია. მუნიციპალიტეტის მერია უნდა ჩამოყალიბდეს ამ საკთხთან დაკავშირებით და საბოლოოდ წარმოადგინოს წინადადებები ამ ა(ა)ი.პ- ის საქმიანობასთან დაკავშირებით. სჭიროა, მოხდეს ამ ა(ა)ი.პ-ის რეორგანიზაცია, იგი თავისი ფუნქციებით და გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით გადავიდეს ა(ა)ი.პ „ჩოხაატურის სერვისცენტრში“ განყოფილების სახით.იმიტომ რომ ძირითადად დაბა მახმაროს ხარჯები მიდის ამ ა(ა)ი.პ-ის გავლით. მაგ: გაულ წელს საქუჩო და სკვერების განათებისათვის ჩაირიცხა15, 777 თასი ლარი. კურორტ ბახმაროს მომსახურებისათვის, დამატებით შტატში აყვანილი იქნა 22 თანამშრომელი. სეზონზე ნაგავმზიდებმა ნარჩენების გატანისათვის გააკეთეს 122 ბრუნი და სხვ. მთლიანობაში, ამ კუთხით დაიხარჯა 100,0 ათას ლარზე მეტი.

მუნიციპალიტეტის მერია კონკრეტულად უნდა განსაზღვროს კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსების მუხლიდან სოფლებში და დაბა ბახმაროში წყალმომარაგების სისტემების მოვლა-პატრონობის საკითხი. მოხდეს ამ საკითხების შესწავლა (არსებული

წყალსადენის ქსელის მდგომარეობა, იურიდიული საკითხების გარკვევა და სხვ.) და შეიქმნას მომსახურების ერთიანი ცენტრი. შესაძლებელია, ეს ცენტრი იყოს ა(ა)ი.პ ჩოხაატურის სერვისცენტრის“ შემადგენლობაში, ან შეიქმნას ახალი ა(ა)ი.პ, ან სხვა მეთოდით გადაიჭრას საკითხი.

2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვა მოხდა მ/წ 13 აპრილს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში, საკითხი განხილული იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე, მ/წ 19 აპრილს.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილი იყო არასწორად, შემდგომ მოხდა მათი გასწორება, კორექტირება და დამატებით ბიუჯეტს გამოეყო გრანტის სახით 1 450,0 ათასი ლარი, ხარჯების დასაფარავად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები გასწორებული იქნა 2023 წლის ბიუჯეტში.

ასევე, ყველა ის საბიუჯეტო ასიგნებები, რომლის დახარჯვაც მოხდა 2022 წელს, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დარღვევით, გამოსწორებული იქნა 2023 წლის ბიუჯეტში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.